სოლიდარობის ფონდის მე-8 პერიოდული ანგარიში

2015 წლის 12 ოქტომბერი

თქვენი დახმარებით უკვე 156 ბავშვი და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა დაფინანსდა. ისტორიები რომლებიც ერთად შევქმენით.

ქალბატონებო და ბატონებო,

7 წლის გიორგი თურქეთში "მედიპოლ მეგას" კლინიკაში, სადაც სოლიდარობის ფონდის დახმარებით ბავშვს წარმატებით ჩაუტარდა სხივური თერაპია. გიორგის მკურნალობისათვის სოლიდარობის ფონდმა 15 000 აშშ დოლარი დაამტკიცა

წარმოგიდგენთ საქართველოს სოლიდარობის ფონდის საქმიანობის მე-8 პერიოდულ ანგარიშს, რომელიც **2014 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მობილიზებული ფინანსური რესურსების და აღნიშნულ პერიოდში 22 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის დამტკიცებული დაფინანსების** შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოიცავს.

თქვენი მხარდაჭერით ფონდმა უკვე 156 ბავშვისა და ახალგაზრდის დახმარება შეძლო, რომელთაც სისხლისა თუ სხვადასხვა ორგანოების ონკოლოგიური დაავადება შეეხოთ.

ამასთანავე 2015 წლის 24 აგვისტოს **საქართველოს სოლიდარობის ფონდი გაწევრიანდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ურთიერთობების სამინისტროს ბაზაზე მოქმედ ინოვაციური დაფინანსების წამყვან გუნდში (Leading Group on Innovative Financing).**

აღნიშნული გუნდის წევრობა საშუალებას მოგვცემს **უფრო აქტიური როლი შევასრულოთ სოლიდარობისა და ინოვაციური დაფინანსების გლობალურ ინიციატივებში** და საერთაშორისო პლატფორმებზე **წარმოვაჩინოთ საქართველოს სოლიდარობის ფონდის გამოცდილება.**

დაფუძნებიდან დღემდე, 2014 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს სოლიდარობის ფონდში **საერთო ჯამში 3 932 631 ლარი იქნა მობილიზებული,** რომლის ფარგლებშიც და სამომავლო პროგნოზული დონაციების გათვალისწინებით **ფინანსური მხარდაჭერა უკვე დამტკიცებულია სიმსივნით დაავადებული 156 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.**

დღეისათვის საქართველოს სოლიდარობის ფონდში მონაწილეობის სურვილი უკვე ქვეყნის მასშტაბით მოქმედი **საჯარო სამსახურების 50,000-ზე მეტმა თანამშრომელმა, ათასობით მოქალაქემ, 23-მა კერძო კომპანიამ და 53-მა სტუდენტურმა ორგანიზაციამ დაადასტურა.**

ფონდის საქმიანობას შემოუერთდნენ და სამომავლოდ მხარდაჭერას უცხადებენ ჩვენი **საზოგადოებისათვის უაღრესად საპატივცემულო არაერთი პიროვნება, ხელოვნებისა თუ სპორტის დამსახურებული მოღვაწეები,** რაც ფონდის საქმიანობის პოპულარიზაციისა და პროგრამების შემდგომი გაფართოვებისათვის უმნიშვნელოვანესია.

ახალი ინიციატივები ფონდის მხარდასაჭერად

მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა მევიოლინემ, ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ და მისი ინიციატივით შექმნილმა **„მსოფლიო კამერულმა ანსამბლმა - ვირტუოზები“ 2015 წლის** 4 სექტემბერს ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში დასკვნითი საქველმოქმედო საღამო მიუძღვნეს საქართველოს სოლიდარობის ფონდის საქმიანობას. ქალბატონი ლიანას ინიციატივით **სამომავლოდ ფონდის მხარდასაჭერად საქველმოქმედო საღამოები ყოველწლიურად ჩატარდება** ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

ლიანა ისაკაძისა და მსოფლიო კამერული ანსამბლის „ვირტუოზები“ საქველმოქმედო საღამო

2015 წლის 21 სექტემბერს სოლიდარობის ფონდის საქმიანობას შემოუერთდა **დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი.** აღნიშნული ინიციატივით, „აიეტი“ გახდა **პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც საქართველოს სოლიდარობის ფონდის დონაციების სისტემური ინტეგრაცია უზრუნველყო.** აღნიშნული უნივერსიტეტი ყოველწლიურად 500-მდე სტუდენტის სასწავლო გადასახადიდან 12 ლარს გადარიცხავს სოლიდარობის ფონდის საქმიანობის მხარდასაჭერად.

თანამშრომლობითი მემორანდუმის ხელმოწერა დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტთან

UNESCO-ს მშვიდობის ელჩი, ცნობილი პიანისტი ელისო ბოლქვაძე

„ყოველთვის მიგულეთ თქვენს გვერდით!“ - ეს UNESCO-ს მშვიდობის ელჩის, ცნობილი პიანისტის ელისო ბოლქვაძის სიტყვებია, მას შემდეგ რაც 19 სექტემბერს ფონდის ხელმძღვანელთან მარიამ ჯაშთან გამართულ შეხვედრაზე დეტალურად გაეცნო სოლიდარობის ფონდის საქმიანობას. ქალბატონი ელისო 2015 წლის 16 დეკემბერს საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას გეგმავს, საიდანაც შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება სოლიდარობის ფონდში.

საქართველოს სოლიდარობის ფონდის კოორდინაციით **ლიმფომით ან სოლიდური სიმსივნით დაავადებული 80 ბავშვის სადიაგნოსტიკო მასალა გერმანიაში გაიგზავნება** სრული ჰისტოლოგიური გამოკვლევისათვის. გამოკვლევა ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის უფასო იქნება. ეს შესაძლებლობა ქართველ ბავშვებს **ფრაიბურგის უნივერსიტეტისა და სოლიდარობის ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიეცემათ.** აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია ბატონი **ჰაინც გენგენბახი,** საქართველოს დიდი ხნის მეგობარი, რომლის თანადგომითაც ხდება ქართველი ბავშვების დიაგნოსტიკის პროექტისათვის გერმანიაში დონაციების მობილიზება. **10 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ დარმშტატში** გაიმართა ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საქველმოქმედო საღამო, რომლის ფარგლებში შემოსული დონაციებიც ფრაიბურგის უნივერსიტეტში გადაირიცხება ქართველი ბავშვების დიაგნოსტიკის მხარდასაჭერად. **საქველმოქმედო საღამო „ქართული ჰანგები - ლიტერატურა და მუსიკა“** ცნობილი ქართველი შემოქმედების მონაწილეობით ჩატარდა.

თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა

- **21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ფინანსური პრობლემის გადაჭრა საქართველოს მასშტაბით.** ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ **2014 წლის სექტემბრიდან საქართველოში სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი უსახსრობის გამო აღარ იღუპება.**

- **არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა** 21 წლის ასაკის ჩათვლით, **რომელიც ონკოლოგიური დაავადების წინაშე აღმოჩნდება არ რჩება ჩვენი დახმარების გარეშე** - დაფუძნებიდან დღემდე ფონდში შემოსული 156 პაციენტის პროფილური განცხადება უკვე დამტკიცებულია.

- **156 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის საერთო ჯამში** საქართველოს სოლიდარობის ფონდმა **671 300 ლარი, 1 844 860 აშშ დოლარი და 556 570 ევროს** ოდენობის დაფინანსება დაამტკიცა.

- **თქვენი დახმარებით 79 პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დაფინანსდა,** ხოლო **77 შემთხვევაში როგორც საქართველოში ასევე გერმანიის, ესპანეთის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის** კლინიკებში.

- **თქვენივე მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა კერძო და არასამთავრობო სექტორის მზარდი ჩართულობისათვის ძლიერი საფუძვლების შექმნა.** საჯარო მოხელეების მიერ სოლიდარობის ფონდისათვის შექმნილი პლატფორმის გარშემო უკვე გაერთიანდა 23 კომპანია და ორგანიზაცია. **თქვენივე მხარდაჭერით შეიქმნა არასამთავრობო სექტორის ჩართულობისათვის მნიშვნელოვანი პლატფორმა.** სოლიდარობის ფონდს შემოუერთდა 53 სტუდენტური თვითმმართველობა და ახალგაზრდული ორგანიზაცია, რაც მოხალისეთა სისტემის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს საფუძველს ქმნის.

ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობითი მემორანდუმების ფარგლებში უკვე შემოუერთდნენ საქართველოს სოლიდარობის ფონდს

- „ლიბერთი“ ბანკი
- „საქართველოს ბანკი“
- „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“
- თი-ბი-სი ბანკი
- კომპანია „ყაზტრანსგაზი“
- „პრივატ ბანკი“
- მთის კურორტების განვითარების სააგენტო
- კომპანია Gulf
- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- შსს მომსახურების სააგენტო
- თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
- „რაკია ჯგუფის“ 3 კომპანია „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი“, „რაკიინ დეველოპმენტი“, „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
- კომპანია Lemondo
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
- ტელეკომპანია „იმედი“
- კომპანია Eastern Promotion
- მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია
- კომპანია GINO Paradise
- სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“
- GPI ჰოლდინგი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი

დღეისათვის განხილული და დაფინანსებული განცხადებები

- 2015 წლის **30 სექტემბრის მდგომარეობით** საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედმა **კომისიამ 22 სხდომა გამართა,** რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა **201 პაციენტის განცხადება.**

- ფონდის კომისიის მიერ განხილული **201 განცხადებიდან 156 აპლიკაცია იყო პროფილური** - ანუ 21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახების მიერ წარმოდგენილი. ფონდის დახმარება დამტკიცდა 18 წლამდე ასაკის **128 ბავშვისა და** 18-21 წლის ასაკის **28 ახალგაზრდისათვის**, მათ შორის **53 გოგონასა და 103 ვაჟისათვის.** 201 განცხადებიდან **არ დაკმაყოფილდა 45 აპლიკაცია, რამდენადაც არ შეესაბამებოდა ფონდის მიერ განცხადებულ დიაგნოსტიკურ და ასაკობრივ კრიტერიუმებს.**

- **ფონდმა 156 პროფილური განცხადებიდან 79 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დააფინანსა** მათ შორის ქიმიო-თერაპიის, ონკო-ქირურგიის, მაღალ-ტექნოლოგიურ კვლევებისა და სხივური თერაპიის ღირებულებას, რომელიც სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების ლიმიტებს.

- **77 ბავშვი და ახალგაზრდა კი დაფინანსდა როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ - გერმანიის, ესპანეთის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში** ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელიც საქართველოში დღეისათვის ვერ ტარდება ან ექსპერტული შეფასებით საზღვარგარეთ სამედიცინო სერვისის ჩატარების აუცილებლობისათვის კონკრეტული არგუმენტაცია არსებობს (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, პედიატრიულ ასაკში სხივური თერაპია, განსაკუთრებული სირთულის ქირურგიული ოპერაციები).

- **ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ფონდის მიერ დამტკიცებული 156 ბენეფიციარის ასაკობრივ და დიაგნოსტიკურ პარამეტრებს** ფონდის მიერ დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშთან ერთად.

	პაციენტის მონაცემები		დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დამტკიცებული დაფინანსება
	ასაკი	სქესი			
საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით დაფინანსებული აპლიკაციები					
1	1 წლის	მდედ.	ქვედა ქუთუთოს წარმონაქმნი (ჰემანგიომა) - საქართველოში ქირურგიული ოპერაციის ჩატარებაზე პაციენტს უარი ეთქვა და გადაყვანილ იქნა საზღვარგარეთ	13 440 ევრო	8 440 ევრო (თურქეთი)
2	1 წლის	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - საზღვარგარეთ დაფინანსდა დიაგნოსტიკა ლოკალური თერაპიის შემდგომი განსაზღვრის მიზნით. პაციენტისათვის ასევე დაფინანსებულია ქიმიოთერაპიის რამოდენიმე კურსი საქართველოში	5926 ევრო, 7 000 აშშ დოლარი და 15498 ლარი	5926 ევრო და 5000 აშშ დოლარი (გერმანია, ესპანეთი) და 11873 ლარი (საქართველო)
3	1 წლის	მდედ.	მეორადი თრომბოციტოპენია, დაუზუსტებელი გენეზის - დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი საზღვარგარეთ	34 600 აშშ დოლარი	10 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
4	1 წლის	მდედ.	დაუზუსტებელი დიაგნოზის მოცულობითი წარმონაქმნი, საზღვარგარეთ დადგინდა ტერატომა - საზღვარგარეთ პაციენტს ჩაუტარდა დიაგნოსტიკა, ქირურგიული ოპერაცია და ქიმიოთერაპია. სოლიდარობის ფონდის მიერ დაფინანსებულია დიაგნოსტიკური კომპონენტი და ქირურგიული ოპერაცია	184 500 აშშ დოლარი	43 500 აშშ დოლარი (ისრაელი)
5	1 წლის	მამრ.	ქრონიკული მიელიოდური ლეიკემია - დაფინანსდა დიაგნოსტიკა	7000 აშშ დოლარი	5 500 აშშ დოლარი (თურქეთი)
6	1 წლის	მამრ.	სისხლმბადი სისტემის სიმსივნე დაუზუსტებელი დიაგნოზი - პირველ ეტაპზე პაციენტს დაუფინანსდა დიაგნოსტიკა და გენეტიკური კვლევა საზღვარგარეთ, ხოლო მეორე ეტაპზე როცა დადასტურდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის აუცილებლობა, ფონდმა დააფინანსა ტრანსპლანტაციამდე მოსამზადებელი დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებები. ტრანსპლანტაციის დაფინანსება დაგეგმილია ქალაქ თბილისის მერიის პროგრამის ფარგლებში.	46 000 აშშ დოლარი	36 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
7	2 წლის	მდედ.	ავთვისებიანი ჰისტიოციტოზი - პირველ ეტაპზე დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკის კომპონენტი და ადგილზე გადაუდებელი ქიმიოთერაპია იმ მედიკამენტით, რომელიც საქართველოში არ არის რეგისტრირებული. განიხილებოდა ბავშვისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად, თუმცა ტრანსპლანტაციის ჩატარება გადავადდა ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.	31 200 აშშ დოლარი	26065 აშშ დოლარი (თურქეთი)

8	2 წლის	მამრ.	აპლაზიური ანემია, დაუზუსტებელი გენეზის - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ტრანსპლანტაციის წინა პერიოდში ჩასატარებელი იმუნოსუპრესიული თერაპია, რომელიც საქართველოში ვერ ხორციელდება. ასევე ანტიმიკრობული მედიკამენტური თერაპია მრავალგზის. ტრანსპლანტაციის დაფინანსება განიხილება ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვის პროგრამასთან კოორდინაციით. პაციენტს დაუფინანსდა ასევე მედიკამენტი.	238 525 აშშ დოლარი	155 525 აშშ დოლარი (თურქეთი)
9	2 წლის	მამრ.	წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე, ტერატომა - დაფინანსდა საზღვარგარეთ ქირურგიული ოპერაცია. ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა დაფინანსდა საქართველოში	22 100 ევრო და 41441 ლარი	12 100 ევრო (თურქეთი) და 33806 ლარი (საქართველო)
10	2 წლის	მდედ.	გავა - კუდუსუნის მიდამოს ავთვისებიანი ტერატომა, ყვითრის პარკის სიმსივნე - დაფინანსდა რეზიდუალური სიმსივნური მასის ქირურგიული ამოკვეთა საზღვარგარეთ. ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა - საქართველოში	22 000 აშშ დოლარი და 27895 ლარი	22 000 აშშ დოლარი (თურქეთი) 22652 ლარი
11	2 წლის	მამრ.	ჰემანგიომა მედიასტინუმის სივრცეში გავრცელებით - დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი და ქირურგიული ოპერაცია	35000 აშშ დოლარი	35000 აშშ დოლარი (თურქეთი)
12	2 წლის	მამრ.	მწვავე მეგაკარიობლასტური ლეიკემია - დამტკიცდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება, რომელიც იგეგმება იტალიაში	85 000 ევრო	75 000 ევრო (იტალია)
13	2 წლის	მამრ.	მწიფე ტერატომა. ინტრასპინალური, ექსტრადურული, რეტროპერიტონეალური გავრცელებით - სიმსივნური დაზიანებით გამოწვეული ნევროლოგიური მდგომარეობისათვის დაფინანსდა დიაგნოსტიკა, სარეაბილიტაციო მასალა საზღვარგარეთ და სარეაბილიტაციო მკურნალობა საქართველოში	1408 ლარი; 6045 აშშ დოლარი	700 ლარი (საქართველო) და 6045 აშშ დოლარი (თურქეთი)
14	3 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ნეიროქირურგიული ოპერაცია, დიაგნოსტიკა და პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია საზღვარგარეთ. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა დაფინანსდა საქართველოში	40165 ევრო, 19 280 აშშ დოლარი და 10325 ლარი	36165 ევრო, 19280 აშშ დოლარი (თურქეთი) და 5543 ლარი (საქართველო)
15	2 წლის	მამრ.	ეპიდერმოიდული კისტა - პაციენტი თურქეთში იტარებს ოპერაციას ფონდმა დააფინანსა ბილეთის ფული	552 ლარი	552 ლარი
16	3 წლის	მდედ.	ქორიოიდალური გარსის (თვალის გარსის) ავთვისებიანი სიმსივნე (რეტინობლასტომა ან ჰამარტრომა) ბადურის მეორადი ჩამოშლით. დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქირურგიული ჩარევა, რომელიც საქართველოში ვერ ჩატარდა.	27,250 აშშ დოლარი	17,250 აშშ დოლარი (თურქეთი)
17	3 წლის	მდედ.	ვილმსის სიმსივნე პულმონური მეტასტაზებით - დამტკიცდა ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება საზღვარგარეთ (19200 ევროს მოცულობით), რომელიც საქართველოში ვერ ტარდებოდა, თუმცა ოპერაციის-წინა დიაგნოსტიკის შემდეგ ქირურგიული და რადიოთერაპიული ჩარევა გადაიდო. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში	4000 აშშ დოლარი და 29216 ლარი	4,000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 15352 ლარი (საქართველო)

18	3 წლის	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა რეზისტენტული ფორმის ლეიკემიის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინ საზღვარგარეთ, პაციენტი მზადდება ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის	71 750 აშშ დოლარი	64 750 აშშ დოლარი (თურქეთი)
19	3 წლის	მამრ.	რეტროპერიტონიული და მედიასტინური გავრცელების სიმსივნე - დაფინანსდა სიმსივნური მასის რეზექცია - ქირურგიული ოპერაცია საბოლოო დიაგნოსტიკის მიზნით. დაფინანსება დამტკიცებულია, თუმცა ამ ეტაპზე ოპერაცია ვერ ტარდება გართულებების მაღალი რისკის გამო. მიმდინარეობს დამატებითი კონსულტაციები შესაბამისი პროფილის კლინიკებთან.	30 000 აშშ დოლარი	25 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
20	4 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა II) - დაფინანსდა პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	17 930 ევრო	9 930 ევრო (თურქეთი)
21	4 წლის	მამრ.	თანდაყოლილი ნეიტროპენია, აგრანულოციტოზი - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია	200 000 აშშ დოლარი	165 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
22	4 წლის	მდედ.	იუნგის სარკომა (ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე) - თავდაპირველად მკურნალობა ჩატარებული იყო თურქეთში, დინამიკის შესაფასებლად დაფინანსდა დიაგნოსტიკური ინტერვენცია საზღვარგარეთ, ხოლო შემდგომ ქიმიოთერაპია საქართველოში.	1 635 ევრო და 13687 ლარი	1 635 ევრო (თურქეთი) და 6999 ლარი (საქართველო)
23	4 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდა საქართველოში	32 685 აშშ დოლარი; 1320 ლარი	28 500 აშშ დოლარი (თურქეთი); 1320 ლარი
24	4 წლის	მამრ.	მარცხენამხრივი ნეფრობლასტომა მე-4 სტადია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში, ხოლო ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ	16539 ლარი და 25 000 აშშ დოლარი	10007 ლარი (საქართველო) და 21 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
25	4 წლის	მამრ.	ჰეპატობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ. ღვიძლის სიმსივნის გამო განიხილება ღვიძლის ტრანსპლანტაციის საკითხი, ჩატარდა მშობლის დონორად შესაბამისობის ტესტი და პრინციპული თანხმობა დამტკიცდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ჩატარებაზე (ტრანსპლანტაციის აუცილებლობა გადაწყდება უშუალოდ ოპერაციის პროცესში). ასევე დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია საქართველოში.	105 000 აშშ დოლარი და 30 303 ლარი	90 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 16 904 ლარი
26	5 წლის	მამრ.	ვილმსის სიმსივნე. დაფინანსდა ქირურუგიული ოპერაცია საზღვარგარეთ	21 500 ევრო	11 550 აშშ დოლარი (თურქეთი)
27	5 წლის	მდედ.	თვალბუდის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	3 300 ევრო და 6467 ლარი	3 300 ევრო (თურქეთი) 2880 ლარი (საქართველო)
28	5 წლის	მამრ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე, მედულობლასტომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა - საქართველოში	25 000 ევრო და 13 171 ლარი	25 000 ევრო (თურქეთი) და 10 707 ლარი (საქართველო)

29	5 წლის	მდედ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - პაციენტი დავალიანების გამო ვეღარ იგრძელებდა მკურნალობას თურქეთის კლინიკაში. აღნიშნულ კლინიკაში ბავშვს ჩაუტარდა ღვიძლის ტრანსპლანტაცია, სადაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დინამიკაში პაციენტის მდგომარეობის შეფასებას როგორც სისმსივნური დაავადების, ასევე ღვიძლის დაზიანების გამო მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით.	15 000 აშშ დოლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
30	6 წლის	მამრ.	ალვეოლარული რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში	17 500 აშშ დოლარი და 15652 ლარი	17 500 აშშ დოლარი (თურქეთი) და 8589 ლარი (საქართველო)
31	6 წლის	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია, დიაგნოსტიკა და ნეიროქირურგიული ოპერაცია საქართველოში და დამტკიცდა დაფინანსება სხივური თერაპიისა და ნეიროქირურგიული ოპერაციისათვის საზღვარგარეთ	31 239 ლარი და 48 000 აშშ დოლარი	48 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 21 746 ლარი (საქართველო)
32	7 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის გამო დაფინანსდა პაციენტის რეანიმობილით გადაყვანა საზღვარგარეთ, ასევე დიაგნოსტიკა, ნეიროქირურგიული ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი ინტენსიური თერაპია. საქართველოში დაფინანსდა ანტიმიკოზური ძვირადღირებული მედიკამენტი;	298 515 აშშ დოლარი და 13590 ლარი	173 515 აშშ დოლარი (თურქეთი) და 4823 ლარი (საქართველო)
33	7 წლის	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარცხენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე - დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში	15 820 ევრო და 12949 ლარი	15 820 ევრო (თურქეთი) და 8354 ლარი (საქართველო)
34	7 წლის	მამრ.	პინეალური მიდამოს სიმსივნე - დაფინანსდა gamma knife-ით სიმსივნის ამოკვეთა	6500 ევრო	6500 ევრო (თურქეთი)
35	7 წლის	მამრ.	პილოცისტური ასტროციტომა - დაფინანსდა რადიოთერაპია (cyber Knife) საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	9440 ევრო და 1755 ლარი	8440 ევრო (თურქეთი) 1084 ლარი
36	7 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ	15 000 აშშ დოლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
37	7 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ნეიროქირურგიული ოპერაცია, რადიოლოგიური კვლევა და რადიოთერაპია საზღვარგარეთ	35 500 აშშ დოლარი	30 500 აშშ დოლარი (თურქეთი)
38	7 წლის	მდედ.	ნეიროფიბრომატოზი - დაფინანსდა სხივური თერაპია, იმავე კლინიკაში სადაც პაციენტმა ოჯახის სახსრებით ჩაიტარა ქირურგიული ოპერაცია	19 000 ევრო	19 000 ევრო (თურქეთი)
39	8 წლის	მამრ.	თავის ტვინის პარკუჭების ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	11 030 ევრო და 11507 ლარი	11 030 ევრო (თურქეთი) და 6377 ლარი (საქართველო)

40	8 წლის	მამრ.	უცნობი წარმოშობის ცხელება, ონკოჰემატოლოგიის პროფილით დაფინანსდა დიაგნოსტიკა	10 000 ევრო	5 000 ევრო (გერმანია)
41	8 წლის	მამრ.	იუვენილური ანგიოფიბრომა დაფინასდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ	17000 აშშ დოლარი	12000 აშშ დოლარი (თურქეთი)
42	8 წლის	მამრ	ჰემატოლოგიური დაავადება თალასემია - პაციენტს ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით თურქეთში ჩაუტარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია. სოლიდარობის ფონდმა დააფინანსა ტრანსპლანტაციის პერიოდში დამატებით საჭირო ძვირადღირებული მედიკამენტი	3092 ევრო	3092 ევრო (თურქეთი)
43	9 წლის	მამრ.	მიასთენია გრავის, სავარაუდოდ თიმომა - დაფინანსდა მკერდუკანა ჯირკვლის ქირურგიული დიაგნოსტიკური ოპერაცია (თიმექტომია) მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. თავდაპირველად ბავშვის დიაგნოსტიკა დაფინანსდა თურქეთში, მაგრამ ანტისხეულების მაღალი ტიტრის გამო მოხდა დამატებითი დიაგნოსტიკური სერვისის მოძიება ისრაელში. პაციენტს დაუფინანსდა ასევე მგზავრობის საფასური.	35 490 აშშ დოლარი და 970 ლარი	28 072 აშშ დოლარი (თურქეთი და ისრაელი) და 970 ლარი
44	10 წლის	მამრ.	მწვავე პრომიელოციტური ლეიკემია - პაციენტი იმყოფება იტალიაში ქალაქ ვერონის კლინიკაში, 2014 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ემზადებოდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის, სოლიდარობის ფონდის მიერ დაფინანსდა დონორის მოსაძიებლად დამატებითი თანხა	105 000 ევრო	30 000 ევრო (იტალია)
45	10 წლის	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია, დაუზუსტებელი დიაგნოზი - პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის გამო, დაავადების ზუსტი მორფოლოგიური ტიპის განსაზღვრის და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის მიზნით, ექსპერტების რეკომენდაციით დაფინანსდა დიაგნოსტიკა თურქეთში, თუმცა კვლავ ვერ დადგინდა დიაგნოზი და პაციენტის დიაგნოსტიკა შსს სამინისტროს თანა-დაფინანსებით გაგრძელდა გერმანიაში. გერმანიაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო, საგანგებო რეჟიმში დაფინანსდა ბავშვის ინტენსიური მკურნალობის ეტაპი. მიმდინარეობს დაკვირვება საქართველოში მკურნალობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით	55 000 აშშ დოლარი და 135 000 ევრო	30 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 81 000 ევრო (გერმანია)
46	10 წლის	მდედ.	ზედა ყბის წიაღის მოცულობითი წარმონაქმნი - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ვერ ჩატარდა საქართველოში	25 846 ევრო	10 807 ევრო (თურქეთი)
47	10 წლის	მდედ.	დესმოიდური ფიბრომატოზი - დაფინანსდა დამატებითი დიაგნოსტიკა მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით	7 000 ევრო	5 000 ევრო (გერმანია)
48	10 წლის	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა რადიოქირურგია	13740 ევრო	11740 ევრო (თურქეთი)

49	10 წლის	მდედ.	რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა სხივური თერაპია იმავე კლინიკაში სადაც ჩატარდა ქირურგიული ოპერაცია	7000 აშშ დოლარი	7000 აშშ დოლარი (თურქეთი)
50	11 წლის	მდედ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ლოკალიზაციის იუნგის სარკომა. დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ - რეზიდუალური სიმსივნური მასის რეზექცია შემდგომი პროთეზირებით. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპიის რამოდენიმე კურსი საქართველოში	20 000 ევრო და 21435 ლარი	2 000 ევრო (საფრანგეთი) და 16431 ლარი (საქართველო)
51	11 წლის	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა 2 ეტაპად ჩასატარებელი სხივური თერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპიის რამოდენიმე კურსი და დიაგნოსტიკა საქართველოში	23 295 აშშ დოლარი და 8768.54 ლარი	23 295 აშშ დოლარი (თურქეთი) და 6100 ლარი (საქართველო)
52	11 წლის	მამრ.	ინფექციური მონონუკლეოზი/ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა	4800 აშშ დოლარი	4800 აშშ დოლარი (თურქეთი)
53	12 წლის	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია; დაფინანსდა ძვირარირებული ანტიფუნგალური მედიკამენტი	2000 აშშ დოლარი	2000 აშშ დოლარი (თურქეთი)
54	13 წლის	მდედ.	ნათხემის მარჯვენა ჰემისფეროს სიმსივნე - დაფინანსდა ნეიროქირურგიული ოპერაცია. პაციენტს რამოდენიმე ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა თურქეთში. დაავადების რეციდივის გამო რეკომენდირებული იყო იმავე კლინიკაში ოპერირება და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრა. საქართველოში დაფინანსდა სხივური თერაპია	39 350 აშშ დოლარი და 7600 ლარი	31 350 აშშ დოლარი (თურქეთი) და 1470 ლარი (საქართველო)
55	13 წლის	მდედ.	გლიომა - საზღვარგარეთ დაფინანსდა სხივური თერაპია	13937 ევრო	1815 ევრო (თურქეთი)
56	13 წლის	მამრ.	ოსტეოსარკომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია და პროთეზირება საზღვარგარეთ. ქიმიოთერაპია დაფინანსდა საქართველოში	40 000 ევრო და 10 447 ლარი	33 288 ევრო (თურქეთი) და 7109 ლარი
57	14 წლის	მამრ.	იუნგის სარკომა - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	75 000 აშშ და 1372 ლარი	54 743 აშშ დოლარი (თურქეთი), 1372.50 ლარი (საქართველო), 718 ლარი მგზავრობისათვის
58	14 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა სხივური თერაპია	6540 ევრო	3800 ევრო (თურქეთი)
59	15 წლის	მდედ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში და ქირურგიული ოპერაციები (რეზექცია პროთეზირებით) საზღვარგარეთ	40 415 ევრო და 40636.481 ლარი	37 265 ევრო (საფრანგეთი, თურქეთი) და 29756.48 ლარი (საქართველო)

60	15 წლის	მამრ.	დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში - დაფინანსდა დიაგნოსტიკა	9700 აშშ დოლარი	9700 აშშ დოლარი (გერმანია)
61	15 წლის	მდედ.	ძვლის მორეციდივე კისტა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ	5771 ევრო	2771 ევრო (გერმანია)
62	16 წლის	მამრ.	ქალაშიდა მოცულობითი წარმონაქმნი - gamma-knife ოპერაცია უტარდება საზღვარგარეთ, ფონდის მიერ დაფინანსდა ავიაბილეთის ღირებულება პაციენტისათვის და მრტ კვლევა საქართველოში	1 051 ლარი	1051 ლარი (თურქეთი)
63	17 წლის	მამრ.	თავის ტვინის პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე - დაფინანსდა სხივური თერაპია	5 000 ევრო	5 000 ევრო (თურქეთი)
64	17 წლის	მამრ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა, ფილტვის მეტასტაზით - დაფინანსდა ინვაზიური დიაგნოსტიკური პროცედურა და მოლეკულური დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ; დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია საქართველოში	7525 ევრო; 54763 აშშ დოლარი და 19251.21 ლარი	9525 ევრო (თურქეთი); 54763 აშშ დოლარი (იაპონია) და 15209.41 ლარი
65	17 წლის	მამრ.	მარჯვენა თეძოს ძვლის იუნგის სარკომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში; აუტოლოგიური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია	5 005 ევრო, 105 000 აშშ დოლარი და 8003 ლარი	5 005 ევრო, 97 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 4027 ლარი (საქართველო)
66	17 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა რადიოთერაპია	15000 აშშ დოლარი	15000 აშშ დოლარი (თურქეთი)
67	17 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოლოგიური კვლევა, რადიოთერაპია	990 ლარი; 7500 ევრო	198 ლარი; 7500 ევრო (გერმანია)
68	18 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - III B სტადია - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	135 000 აშშ	35 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
69	18 წლის	მამრ.	თავის ტვინის ინტრატექტორული ნაწილის უცნობი ქცევის სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია საქართველოში და სხივური თერაპია საზღვარგარეთ	5 810 ლარი და 17 000 აშშ დოლარი	1641 ლარი (საქართველო) და 17 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
70	18 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოთერაპია	8699 ევრო	8699 ევრო (გერმანია)
71	19 წლის	მამრ.	ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია - ძვლის ტვინის ალოგენური არანათესაური ტრანსპლანტაცია. ფონდის მიერ დაფინანსდა 1-ელ ეტაპზე ტრანსპლანტაციის წინა პერიოდში ჩასატარებელი დიაგნოსტიკა. საქართველოში დაფინანსდა ქიმიოთერაპია.	240000 აშშ დოლარი და 1199 ლარი	16 000 აშშ დოლარი (ისრაელი) და 399 ლარი (საქართველო)
72	19 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ	11 000 ევრო	11 000 ევრო (თურქეთი)
73	20 წლის	მდედ.	ძვლის გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, გრაფტის იმპლანტაცია; თვითმფრინავის ბილეთი	12 800 აშშ დოლარი; 410 ლარი	6000 აშშ დოლარი (თურქეთი); 410 ლარი

74	20 წლის	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა ღეროვანი უჯრედების გადანერგვა საზღვარგარეთ	190 000 აშშ დოლარი და 2282 ლარი	166 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 2 282 ლარი
75	20 წლის	მამრ.	სმენის ნერვის ნევრინომა - დაფინანსდა რადიოქირურგია საზღვარგარეთ.	6 650 აშშ დოლრი	4 650 აშშ დოლარი (თურქეთი)
76	21 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია საქართველოში და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია საზღვარგარეთ (45 000 აშშ დოლარი), თუმცა ინტერვენცია ვერ ჩატარდა და დაფინანსდა მხოლოდ დიაგნოსტიკური კომპონენტი	55 000 აშშ დოლარი და 915 ლარი (საქართველო)	6 500 აშშ დოლარი (თურქეთი), 247 ლარი (საქართველო)
77	21 წლის	მდედ.	ანაპლაზიური ანემია - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანპლანტაცია საზღვარგარეთ	50 400 აშშ დოლარი	40 400 აშშ დოლარი (თურქეთი)
მკურნალობა საქართველოში (ქიმიოთერაპიის, ონკო-ქირურგიის, მაღალტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიის თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის ლიმიტის ფარგლებს ზემოთ)					
78	1 წლის	მდედ.	ნეირობლასტომა, რეტროპერიტონეალური - დაფინანსდა ქიმიოთერაპია, დიაგნოსტიკა და მრტ კვლევა	8 628 ლარი	4 653 ლარი
79	1 წლის	მდედ.	ნეირობლასტომა - დაფინანსდა მაგნიტურ რეზონანსული კვლევა	460 ლარი	460 ლარი
80	1 წლის	მამრ.	დაუზუსტებელი გენეზის პანკრეასის სიმსივნე. დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია და ქიმიოთერაპია	10 755 ლარი	2 149 ლარი
81	1 წლის	მამრ.	ნეირობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	30 704 ლარი	18 866 ლარი
82	1 წლის	მამრ.	პროსტატის ემბრიონული რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	4 797 ლარი	3 862 ლარი
83	1 წლის	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	19 076 ლარი	14 657 ლარი
84	1 წლის	მამრ.	იუნგის სარკომა-დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	7 932 ლარი	6 264 ლარი
85	1 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	2 061 ლარი	2 061 ლარი
86	2 წლის	მდედ.	ნეირობლასტომა, მეოთხე სტადია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	30 483 ლარი	14 780 ლარი
87	2 წლის	მამრ.	მრგვალუჯრედოვანი სარკომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია	13 269 ლარი	7 928 ლარი

88	3 წლის	მამრ.	თავის ტვინის ღეროს გლიომა - დაფინანსდა ვენტრიკულო-პერიტონეალური შუნტირება და ქიმიოთერაპია	22 050 ლარი	5 905 ლარი
89	3 წლის	მდედ.	გერმინაციული უჯრედების შერეული სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	23 709 ლარი	16 559 ლარი
90	3 წლის	მდედ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	10 234 ლარი	4 396 ლარი
91	3 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინასდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	4 906 ლარი	4 906 ლარი
92	4 წლის	მდედ.	შუასაყარის განგლიონეირობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	6 969 ლარი	4 967 ლარი
93	4 წლის	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა მაღალტექნოლოგიური კვლევა	180 ლარი	180 ლარი
94	4 წლის	მამრ.	მარჯვენამხრივი ვილმსის სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	2 720 ლარი	1 502 ლარი
95	4 წლის	მამრ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	15 865 ლარი	8 030 ლარი
96	4 წლის	მდედ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	2 789 ლარი	1 121 ლარი
97	4 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა სხივური თერაპია	7 600 ლარი	1 470 ლარი
98	4 წლის	მამრ.	მწვავე B ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა რადიოლოგიური და კლინიკური კვლევები, სპეციალისტებთან კონსულტაცია	951 ლარი	951 ლარი
99	4 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა მედიკამენტი ოსპარკამი	12 183 ლარი	12 183 ლარი
100	4 წლის	მამრ.	მწვავე B ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და ძვირადღირებული მედიკამენტი	13 230 ლარი	13 230 ლარი
101	4 წლის	მდედ.	თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	1 276 ლარი	884 ლარი
102	5 წლის	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	12 742 ლარი	6 191 ლარი
103	1 წლის	მდედ.	რეტროპერიტონეალური სივრცის უმწიფარი ტერატომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	10 084 ლარი	7 416 ლარი
104	5 წლის	მამრ.	ინტრაკრანიალური მოცულობითი წარმონაქმნი - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	6 500 ლარი	2 799 ლარი
105	5 წლის	მამრ.	ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და მედიკამენტი	13 230 ლარი	13 230 ლარი
106	6 წლის	მამრ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია და ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	34 265 ლარი	14 971 ლარი

107	6 წლის	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია. დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა.	7 600 ლარი	1 470 ლარი
108	6 წლის	მდედ.	იუნგის სარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	4 530 ლარი	2 853 ლარი
109	6 წლის	მამრ.	რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	17 982 ლარი	10 147 ლარი
110	7 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა სხივური თერაპია	7 600 ლარი	1 470 ლარი
111	7 წლის	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	1 125 ლარი	457 ლარი
112	7 წლის	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	1 841 ლარი	678 ლარი
113	7 წლის	მამრ.	სახის, კისრის, კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	2 628 ლარი	2 628 ლარი
114	8 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	6 130 ლარი	1 470 ლარი
115	8 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და კონსულტაცია	214 ლარი	214 ლარი
116	9 წლის	მამრ.	რეტროპერიტონეუმის სივრცის პერიფერიული ნერვის გარსის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	1 125 ლარი	457 ლარი
117	9 წლის	მდედ.	რეტინობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია (ენუკლეაცია პროტეზირებით)	2 563 ლარი	743 ლარი
118	9 წლის	მდედ.	მუცლის ღრუს დაუზუსტებელი გენეის სიმსივნე - დაფინანსდა პოსტოპერაციული სიმპტომური თერაპია (მედიკამენტი)	55 ლარი	55 ლარი
119	10 წლის	მდედ.	იუნგის სარკომა მარჯვენა მხრის ძვალზე - დაფინანსდა ბიოფსია	1 316 ლარი	1 316 ლარი
120	10 წლის	მამრ.	პიგმენტური ნევუსი, რეციდივი - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	2 794 ლარი	2 299 ლარი
121	10 წლის	მამრ.	მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა ანტიმიკოზური მედიკამენტი	5 970 ლარი	5 970 ლარი
122	10 წლის	მდედ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	7 138 ლარი	4 270 ლარი
123	10 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია,	4 356 ლარი	1 641 ლარი
124	11 წლის	მამრ.	გულმკერდის კედლის ქონდროსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	7 571 ლარი	5 452 ლარი
125	11 წლის	მამრ.	თვალბუდის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა რადიოლოგიური კვლევები და ქიმიოთერაპია	3 650 ლარი	2 592 ლარი
126	11 წლის	მდედ.	ზედა ყბის კისტა მარცხენა ჰაიმორის ღრუში გავრცელებით - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	2 530 ლარი	1 690 ლარი

127	11 წლის	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	580 ლარი	580 ლარი
128	12 წლის	მამრ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა მედიკამენტი	2 218 ლარი	2 218 ლარი
129	12 წლის	მამრ	არაჰოჯკინის ლიმფომა - დაფიანსდა რადიოლოგიური კვლევა, კონსულტაცია	1 102 ლარი	1 102 ლარი
130	13 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	1 062 ლარი	1 062 ლარი
131	14 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ავადმყოფობის შერეული უჯრედოვანი ვარიანტი - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	875 ლარი	875 ლარი
132	15 წლის	მამრ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა მეტასტაზებით ფილტვებში - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	4 309 ლარი	2 975 ლარი
133	15 წლის	მამრ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	23 548 ლარი	16 020 ლარი
134	15 წლის	მამრ.	არაჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოლოგიური კვლევა	850 ლარი	850 ლარი
135	16 წლის	მამრ.	T ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	4 130 ლარი	4 130 ლარი
136	16 წლის	მამრ.	ცხვირხახის ანგიოფიბრომა - დაფინანსდა ლარინგოსკოპია	90 ლარი	90 ლარი
137	17 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	6 987 ლარი	5 397 ლარი
138	17 წლის	მამრ.	ძვლის და ხრტილის სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	806 ლარი	806 ლარი
139	18 წლის	მამრ.	ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია	24 601 ლარი	20 739 ლარი
140	18 წლის	მამრ.	მარჯვენა სათესლე ჯირკვლის ემბრიონალური კარცინომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	6 450 ლარი	3 138 ლარი
141	18 წლის	მამრ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია, გამოკვლევები და მედიკამენტური მკურნალობა	27 202 ლარი	13 306 ლარი
142	18 წლის	მამრ.	ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სიმსივნური დაზიანება - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა	5 976 ლარი	2 894 ლარი
143	18 წლის	მამრ	ასტროციტომა - დაფინანსდა ძვირადღირებული მედიკამენტი	3 648 ლარი	3 648 ლარი
144	19 წლის	მამრ.	მარჯვენა შუბლის მიდამოს კავერნომა, მეორადი ეპილეფსიური სინდრომით - დაფინანსდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია	6 000 ლარი	2 574 ლარი
145	19 წლის	მამრ.	რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	6 208 ლარი	4 206 ლარი

146	19 წლის	მამრ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა მრტ კვლევა	640 ლარი	640 ლარი
147	19 წლის	მამრ.	ფარისებრი ჯირკვლის კარცინომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	4 530 ლარი	1 996 ლარი
148	19 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა	3 050 ლარი	3 050 ლარი
149	20 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	2 500 ლარი	1 250 ლარი
150	20 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოთერაპია საქართველოში	7 600 ლარი	2 694 ლარი
151	21 წლის	მდედ.	მარცხენა თხემის წილის ექსტრააქსიალური სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	619 ლარი	123 ლარი
152	21 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია	7 932 ლარი	6 731 ლარი
153	21 წლის	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა თავის ტვინის მრტ კვლევა და ქირურგიული ოპერაცია	6 329 ლარი	3 418 ლარი
154	21 წლის	მდედ.	ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური კარცინომა - დაფინანსდა რადიოაქტიური იოდით სკენირება	800 ლარი	800 ლარი
155	21 წლის	მდედ.	გლიობლასტომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა, სხივური თერაპია და ძვირდაღირებული მედიკამენტი	42 027 ლარი	37 560 ლარი
156	21 წლის	მამრ.	ფარისებრი ჯირკვლის პაპილარული კარცინომა - დაფინანსდა დიაგნოსტიკა; იოდო თერაპია;	2 200 ლარი	1 400 ლარი

8 წლის ალექსანდრე, რომელსაც თქვენი დახმარებით სასწრაფოდ ჩაუტარდა ურთულესი ოპერაცია სტამბულში „ანადოლუს“ კლინიკაში. აღნიშნული ოპერაციის საერთო ღირებულებიდან (17 000 აშშ დოლარი) სოლიდარობის ფონდი 12 000 აშშ დოლარს დაფარავს.

თითოეული ბავშვისა და მათი ოჯახების დახმარება მხოლოდ თქვენი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობით ჩვენ შევძლებთ პროგრამების შემდგომ გაფართოვებას, 21 წელზე უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების მხარდაჭერას და სხვა მძიმე სენით დაავადებული ასობით ბავშვისა და ოჯახის დახმარებას.

შემოგვიერთდით. სიკეთე გადამდებია.

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაცია

საქართველო, თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 ტელ.: + 995 322 990900, ცხელი ხაზი 15-05; solidaroba.ge; ელ-ფოსტა: solidarity@geo.gov.ge